ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1929 წლის აგვისტოს 1.	№ 14	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.
	განყოფილება პირველი	

შინაარსი:

მუხ. 111. მემკვიდრეობისა და გაჩუქების წესით გადასული ქონების გადასახადის შესახებ.

„ 112. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო ა/კსფსრ მოქმედი კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

„ 113. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსათვის სავალდებულო დადგენილებათა და ინსტრუქციათა გამოცემისა და მათი დარღვევის გამო ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების უფლების მინიჭების შესახებ.

„ 114. უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

„ 115. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების შეცვლის შესახებ.

„ 116. სამრეწველო საწარმოთა სახლებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ.

„ 117. მუშათა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის სამუშაო დღის შემცირების შესახებ.

„ 118. სამუშე ბინათ-მშენებლობის დაკრედიტებისათვის არსებული სპეციალური კაპიტალებისა და ფონდების გამოყენების გეგმების შედგენისა, დამტკიცებისა და აღსრულების წესის შესახებ.

„ 119. რესპუბლიკების წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის რაზმების წევრებისათვის სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლაში მონაწილეობის დროს თანამდებობისა და საშუალო სამუშაო ხელფასის შენარჩუნების შესახებ.

„ 120. „სამსახურის საბოლოო ვადის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის თებერვლის 20-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

„ 121. ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მსახურთათვის შეკრებაზე გამოუცხადებლობისა და თვითნებისად წასვლის ზოგიერთ შემთხვევაში ადმინისტრატიული წესით დასადებ გადასახდელთა შესახებ.

„ 122. ა/კსფსრ-ში საკონიუნქტურო დაკვირვებათა ორგანიზაციის შესახებ.

„ 123. სალანჩე გამოჭრილი ტყავის ცალობითი საეტიკეტო ფასების დაწესების შესახებ.

„ 124. ა/კსფსრ-ში ხანძართან ბრძოლის საქმის დაყენებისათვის ზედამხედველობის გაწევის წესის შესახებ.

№ 1

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

111. მემკვიდრეობისა და გაჩუქების წესით გადასული ქონების გადასახადის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. დამტკიცებულ იქნეს დებულება მემკვიდრეობისა და გაჩუქების წესით გადასული ქონების გადასახადის შესახებ და შემოღებულ იქნეს იგი სამოქმედოდ იმ სამკვიდროთა მიმართ, რაც გაიხსნება 1929 წლის ოქტომბრის 1-დან და აგრეთვე იმ ქონებათა მიმართ რაც გაჩუქების წესით გადავა იმავე ვადის შემდეგ ქმნილი აქტებით.

II. მიენდოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს ორი კვირის ვადაზე ინსტრუქცია 1 მუხლში აღნიშნული დებულების შეფარდებისათვის.

III. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) 23 მუხლის „გ“ პუნ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მემკვიდრეობისა და გაჩუქების წესით გადასული ქონების გადასახადის ანარიცხი—შემოსული გადასახადის ასი პროცენტის რაოდენობით“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. ივლისის 22. ტფილისი—სასახლე.

დებულება მემკვიდრეობისა და გაჩუქების წესით გადასული ქონების გადასახადის შესახებ.

I. მემკვიდრეობის წესით გადასული ქონების გადასახადი.

1. კანონით თუ ანდერძით გადასულ ქონებას დაედება გადასახადი, რომელიც გამოანგარიშებულ უნდა იქნეს მთლად სამკვიდრო მასსის მიხედვით, რამდენი მემკვიდრეც უნდა იყოს.

შენიშვნა. უცხოელ მოქალაქის კუთვნილ ქონებას, რაც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებშია და რაც მემკვიდრე-

ბით გადადის უცხოელ მოქალაქეზე ან სსრ კავშირის მოქალაქეზე, გადასახადი,—უკეთუ სათანადო უცხო სახელმწიფოსთან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული,—დაედება იმავე წესით, როგორც იმ სამკვიდროს, რომელიც გაიხსნება ა/კსფსრ-ის ფარგლებში სსრ კავშირის მოქალაქეთა შემდეგ.

2. გადასახადი არ დაედება იმ ქონებას, რომლის ღირებულებაც ათას მანეთს არ აღემატება.

3. გადასახადის გამოანგარიშების დროს სამკვიდრო ქონების ღირებულებიდან გამოირიცხება: ა) მუშა-მოსამსახურეთათვის მისაცემი სამუშაო ხელფასი და აგრეთვე სოციალური დაზღვევის დავალიანება; ბ) გასამრჯელო იმ პირის საექიმო დახმარებისათვის და სიკვდილის წინ მოვლისათვის, რომელმაც სამკვიდრო დასტოვა; გ) სამკვიდროს დამტოვებლის დაკრძალვის ხარჯები, იმ ხარჯების გარდა, რაც დაკავშირებულია რელიგიური კულტის აღსრულებასთან; დ) იმ გადასახადების თანხები, რაც ირიცხება სამკვიდროს დამტოვებელზე, სამკვიდროს გახსნის დღემდე დაგროვილი საურავითა და ჯარიმით; ე) სამკვიდროს დამტოვებლის ვალები, რაც დადასტურებულია დოკუმენტალურად (ვექსილით, სავაჭრო დავთრით და სხვ.), ან დადგენილია სასამართლო წესით, როგორც გირაოთი უზრუნველყოფილი, ისე არაუზრუნველყოფილი, სამკვიდროს გახსნის დღემდე გადაუხდელი კაპიტალური თანხის რაოდენობით და ამ თანხაზე დართული პროცენტებით; ამ ვალებში არ შედის ის ვალები, რაც სამკვიდროს დამტოვებელს ჰმართებს მემკვიდრეებისა.

შენიშვნა. ის ვალი, რომლის გადახდაც დამოკიდებულია რაიმე პირობაზე და აგრეთვე ის ვალი, რომელიც დადგენილ იქნება სასამართლო წესით სამკვიდროს გახსნის შემდეგ, არ გამოირიცხება ქონების ღირებულებიდან, ხოლო, როდესაც დადგება ზემოხსენებული პირობა ან ძალაში შევა სასამართლოს გადაწყვეტილება, მეტობით გადახდევინებული გადასახადის თანხა დაბრუნებულ უნდა იქნეს მემკვიდრეების თხოვნით და განაწილდეს მათ შორის პროპორციულად იმ ვალის თანხისა, რაც თვითეულ მათზე მოდის.

4. გადასახადის გამოანგარიშების დროს სამკვიდრო ქონებაში არ შეიტანება: ა) სახლის მოწყობილობისა და შინ სახმარებელი საგნები, რაც სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად მცხოვრებ პირებზე გადადის, ფუფუნების საგნების გამოკლებით; ბ) პირადი დაზღვევის ხელშეკრულებით მისაღები სადასაზღვეო თანხები; გ) ავტორისა და პატენტის მქონის მემკვიდრეებზე გადასასვლელი საავტორო უფლებანი და გამონაგონის პატენტები; დ) სამკვიდროს დამტოვებლის მიერ სახელმწიფო შრომითი შემნახველ სალაროში შეტანილი ანაბარი.

5. გადასახადი გამოიანგარიშება სამკვიდრო ქონების ნამდვილი ღირებულების მიხედვით მემკვიდრეობის გახსნის მომენტისათვის, თანახმად ამასთანავე დართული ცხრილებისა.

6. მემკვიდრეობის გადასახადის გამოანგარიშება დაეკისრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს და მათ რწმუნებულებს.

7. თვითეული სამკვიდრო ქონების შესახებ, რომელსაც გადასახადი უნდა დაედოს, სამკვიდროს მიმღებმა მემკვიდრეებმა უნდა შეიტანონ, არა უგვიანეს ორი კვირისა სამკვიდროს მიღების დღიდან, სათანადო საფინანსო ორგანოში (მუხ. 6) წერილობითი განცხადება—სამკიდრო ქონების შედგენილობისა და ღირებულების აღნიშვნით.

8. უკეთუ მემკვიდრეზე გადავა ისეთი ქონება, რომელიც მემკვიდრეობის თაობაზე პირვანდელი განცხადების შეტანის დროს მხედველობაში არ იყო მიღებული, მემკვიდრე მოვალეა, არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა ამ დამატებითი ქონების მიღების დღიდან, შეიტანოს დამატებითი განცხადება ასეთი ქონების შესახებ—საჭირო ცნობების აღნიშვნით.

9. მე-7 და 8 მუხლებში აღნიშნული ვადები შეიძლება გაგძელებულ იქნეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დადგენილებით, უკეთუ ეს საჭიროდ იქნება ცნობილი ადგილობრივი პირობების მიხედვით.

10. სამკვიდრო ქონების მიმღები მემკვიდრები მოვალენი არიან გადაიხადონ ხვედრი გადასახადი სრულად ერთი თვის განმავლობაში დღიდან საფინანსო ორგანოს მიერ მათთვის გადასახადის გამოანგარიშების გამოცხადებისა. გადასახადს თვითეული მემკვიდრე გადაიხდის პროპორციულად იმ წილისა, რაც მას სამკვიდრო ქონებაში აქვს.

11. იმ მემკვიდრეს, რომელმაც გადაიხადა მთელი სამკვიდრო ქონების ხვედრი გადასახადი სრულად ან ისეთ ნაწილად, რაც მის წილ გადასახადს აღემატება, უფლება აქვს მიიღოს მის მიერ მეტობით გადახდილი თანხა დანარჩენ მემკვიდრეთაგან გადასახადის იმ ნაწილის მიხედვით, რაც თვითეულ მათგანზე მოდის (უფლება რეგრესისა).

12. იმ შემთხვევაში, როდესაც ანდერძით მემკვიდრეს დაკისრებული აქვს მისცეს რამ სამკვიდრო ქონებიდან (ნაანდერძევი) სხვა პირს, ამ ნაანდერძევი ქონების ხვედრ გადასახადს გაისტუმრებს მემკვიდრე, ხოლო მას უფლება აქვს—ნაანდერძევი ქონების მიცემის დროს დაიჭიროს გადასახადის ის წილი, რაც ნაანდერძევ ქონებაზე მოდის.

შენიშვნა. ნაანდერძევი ქონების გაცემა შეიძლება მხოლოდ მემკვიდრეობის გადასახადის გასტუმრების შემდეგ.

13. გადასახადს მემკვიდრეობის წესით გადასასვლელი ისეთი მოთხოვნის უფლებისა თუ ქონებისათვის, რაც მემკვიდრეს გადაეცემა უწყებული პირობის ან ვადის დადგომისას, იგი გადაიხდის ერთი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც სათანადო ქონება ფაქტიურად მის ხელში გადავა.

14. უკეთუ გადამხდელი მოითხოვს მისი ხვედრი გადასახადის შეტანის ვადის გადადებას ან განაწილებას, ეს შეღავათი მიეცემა მას გადასახადთა გადახდევინების დებულების თანახმად.

15. საპასუხო განცხადებას საფინანსო ორგანოების დადგენილებაზე გადასახადის გამოანგარიშების შესახებ მემკვიდრე თუ ანდერძის აღმასრულებელი შეიტანს იმ საფინანსო ორგანოში, რომელმაც დადგენილება გამოიტანა, ორი თვის განმავლობაში მისთვის გადასახადის გამოანგარიშების გამოცხადების დღიდან. იმ საპასუხო განცხადებას, რასაც საფინანსო ორგანო სცნობს მთლად ან ნაწილობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივ არადასაკმაყოფილებელ განცხადებად, იგი, ერთი თვის ვადაზე გაცხადების შეტანის დღიდან, გაუგზავნის სათანადო სახალხო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტისათვის.

შენიშვნა. საპასუხო განცხადების შეტანა გადასახადის გადახდევინებას ვერ შეაჩერებს.

16. მთავრობის ყველა დაწესებულება, როგორც სასამართლო, ისე საადმინისტრაციო, აგრეთვე თანამდებობის პირი მოვალეა აცნობოს საფინანსო ორგანოებს (მუხ. 6) ყველა ის შემთხვევა, როდესაც მის საქმეებში აღმოჩენილ იქნება მემკვიდრეობის წესით ქონების გადასვლა, უკეთუ საქმის წარმოებიდან არა სჩანს, რომ გადასახადი გასტუმრებულია.

17. სახალხო სასამართლო, სასამართლოს აღმასრულებელი და მათი თანაბარი საადმინისტრაციო ორგანო მოვალეა გაუგზავნოს საფინანსო ორგანოებს ყველა მის ხელთ ქონებული ცნობა გადასახად-დასადები სამკვიდროს დაცვისა, ქონების აწერისა, სასამართლოს დადგენილებისა და სხვა საქმეებიდან.

18. ქალაქად—სახლის სამოურაოები, ხოლო სოფლად—სასოფლო საბჭოები (საქართველოს სსრ-ში—სათემო აღმასრულებელი კომიტეტები) მოვალენი არიან ყველა ამა თუ იმ პირის გარდაცვალება აცნობონ სათანადო საფინანსო ორგანოს ორი კვირის ვადაზე, უკეთუ გარდაცვალებულის შემდეგ დარჩა სამკვიდრო ქონება.

19. მე-16, მე 17 და მე-18 მუხლების აღუსრულებლობისათვის თანამდებობის პირი პასუხს აგებს სადისციპლინო წესით, ხოლო სათანადო შემთხვევაში—სასამართლო წესით; კერძო პირს მე-18 მუხლის აღუსრულებლობისათვის დაედება ჯარიმა ას მანეთამდე; ამა ჯარიმას დაადებენ ამა დებულების მე-6 მუხ. აღნიშნული საფინანსო ორგანოები—კუთვნილებისამებრ.

II. გაჩუქების წესით გადასული ქონების გადასახადი.

20. გაჩუქების წესით გადასული ქონების გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს 1-ლი მუხლის შენიშვნაში, მე-6, 10 და 15 მუხლებში აღნიშნული წესების სათანადო შეფარდებით.

21. გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს ამასთანავე დართულ ცხრილებში აღნიშნული განაკვეთების ნახევარი რაოდენობით გაჩუქების აქტით გადასასვლელი მთელი ქონებისათვის, იმისდამიუხედავად, თუ ერთიდაიმავე აქტით რამდენი პირი იქნება დასაჩუქრებული.

22. ქონების ღირებულება განისაზღვრება გაჩუქების აქტის შედგენის დროის მიხედვით. ქონების ღირებულებიდან გამოირიცხება ის ვალები და გადაუხდელი გადასახადები, რაც ქონებაზე ირიცხება (გაჩუქების აქტის შედგენის დღემდე) და რაც დასაჩუქრებულზე გადადის.

23. გადასახადისაგან განთავისუფლდება გაჩუქების აქტით გადასასვლელი ქონება ღირებულებით არა უმეტეს ათასი მანეთისა და შეწირულება სახელმწიფოს და საქველმოქმედო, სამკურნალო, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებისა და ორგანიზაციის სასარგებლოდ, აგრეთვე იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასარგებლოდ, რომელთა ნუსხასაც დამტკიცებს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

24. ის სანოტარო კონტორა, სადაც ქმნილია გაჩუქების აქტი, მოვალეა ორი კვირის განმავლობაში გაუგზავნოს სათანადო საფინანსო ორგანოს (მუხ. 6) გაჩუქების აქტის ასლი.

25. გაჩუქების აქტით გადასული თვითეული ქონების შესახებ იმ პირმა, რომელმაც განაჩუქი მიიღო, უნდა შეიტანოს, ორი კვირის ვადაზე განაჩუქის მიღების დღიდან, სათანადო საფინანსო ორგანოში (მუხ, 6) წერილობითი განცხადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი დადგენილებისა მემკვიდრეობის და გაყოფ-
ქების წესით გადასული ქონების გადასახადის შესახებ.

ცხრილი № 1

მემკვიდრეობის წესით ყველა ამა თუ იმ პირზე გადასული ქონების გადასახადის განაკვეთებისა, გარდა იმ პირებისა, რომელნიც იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით ამ გადასახადის განაკვეთთა მე-3 №-ის განრიგების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 2).

ქონების ღირებულება														
1.000	მან.	უმეტეს	—	2.000	მანეთამდე	—								
2.000	„	„	—	6.000	„	პირველ	2.000	მანეთზე	—	1%	დანარჩენ თა-			
6.000	„	„	—	10.000	„	„	6.000	„	—	20	მან. ნხებზე, უმეტეს	2.000	მან.	— 5%
10.000	„	„	—	40.000	„	„	10.000	„	—	220	„	პირველ	6.000	„ — 8%
40.000	„	„	—100.000	„	„	40.000	„	—	540	„	„	10.000	„	— 10%
100.000	„	„	—200.000	„	„	100.000	„	—	3.540	„	„	40.000	„	— 25%
200.000	„	„	—500.000	„	„	200.000	„	—	18.540	„	„	100.000	„	— 40%
500.000	„	„	—	„	„	500.000	„	—	58.540	„	„	200.000	„	— 60%
								—	238 540	„	„	500.000	„	— 90%

ცხრილი № 2

მემკვიდრეობის წესით იმ პირებზე გადასული ქონების გადასახადის განაკვეთებისა, რომელნიც იბეგრებიან საშემოსავ-ლო გადასახადით ამ გადასახადის განაკვეთთა მე-3 №-ის განრიგების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1928 წ. № 1-ლი, მუხ. 2).

ქონების ღირებულება														
1.000	მან.	უმეტეს	—	2.000	მანეთამდე	—								
2.000	„	„	—	6.000	„	პირველ	2.000	მანეთზე	—	5%	დანარჩენ თა-			
6.000	„	„	—	10.000	„	„	6.000	„	—	100	მან. ნხებზე, უმეტეს	2.000	მან.	— 10%
10.000	„	„	—	40.000	„	„	10.000	„	—	500	„	პირველ	6.000	„ — 15%
40.000	„	„	—100.000	„	„	40 000	„	—	1.100	„	„	10.000	„	— 20%
100.000	„	„	—200.000	„	„	100.000	„	—	7.100	„	„	40.000	„	— 25%
200.000	„	„	—500.000	„	„	200.000	„	—	22.100	„	„	100.000	„	— 40%
500.000	„	„	—	„	„	500.000	„	—	62.100	„	„	200.000	„	— 65%
								—	257.100	„	„	500.000	„	— 90%

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

112. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო ა/კსფსრ-ის მომქმედი კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1929 წ. აპრილის 9-ს დადგენილებით (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-8 №-რი, მუხ. 70) დამტკიცებული „ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს დებულების“ სამოქმედოდ შემოღების გამო ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. სიტყვები „ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველო“ შეიცვალოს სიტყვებით: „ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო“ შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

ა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ნოემბრის 10-ს თარიღისა და 55 №-ის დადგენილებაში „ა/კსფსრ ტერიტორიაზე არსებულ საავტომობილო მეურნეობათა მიერ ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოსათვის თავიანთი მუშაობის ანგარიშებისა და ცნობების წარდგენის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-11 №-რი, მუხ. 549);

ბ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივნისის 4-ს თარიღისა და 31 №-ის დადგენილებაში „ავტო-ტრანსპორტის დარგში საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-12 №-რი, მუხ. 149);

გ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 19-ს დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში „ა/კსფსრ ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარაგზების მდგომარეობისა და შენახვისათვის გზათა სახალხო კომისარიატის მიერ საერთო ზედამხედველობის განხორციელების წესის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-19 №-რი, მუხ. 216);

დ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. იანვრის 16-ს დადგენილებაში „რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევის წესის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-2 №-რი, მუხ. 22);

ე) ყველა დანარჩენ აქტში, რაც გამოცემულია ა/კსფსრ კანონმდებლობის წესით 1929 წ. აპრილის 9-დე.

2. სიტყვები „ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუბლიკანური სამმართველოები“ შეიცვალოს სიტყვებით „ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკების გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოები“ შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

ა) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 5-ს დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში „სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-რი, მუხ. 204);

ბ) ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტებში აღნიშნულ აქტებში.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1-ლი მუხლი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. აპრილის 12 დადგენილებისა „გზათა მშენებლობისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-რი, მუხ. 631).

4. მე-4 მუხლი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული (მუხ. 3)—1926 წ. აპრილის 12-ს— დადგენილებისა „გზათა მშენებლობისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ“ გაუქმებულ იქნეს.

5. მე-5 და მე-6 მუხლები და 17 მუხლის 1-ლი ნაწილი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 6-ს დადგენილებისა „ა/კსფსრ გზატკეცილებისა და შარაგზების დანაწილებისა და მათთვის მიჩენილი ზოლის ნორმების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-13 №-რი, მუხ. 165) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 5. საერთო-საკავშირო და სტრატეგიული მნიშვნელობის გზათა და ნაგებობათა სია შემუშავებულ იქნება ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს მიერ, შეთანხმებულ იქნება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოსთან და, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადასტურების შემდეგ, წარედგინება, გზათა სახალხო კომისარიატის მეშვეობით, სსრკ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დასამტკიცებლად.

საერთო-საკავშირო გზების დამტკიცებული სიები დაეგზავნებათ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს ცნობისათვის.

შენიშვნა. საერთო-საკავშირო და სტრატეგიული გზების სიის ასლს, ამ სიის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსათვის დასადასტურებლად წარდგენისათანავე, ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო გაუგზავნის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან“.

„მუხ. 6. რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების სიას შეიმუშავებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო და დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო“.

„მუხ. 17. ნაწ. 1. პირველი და მეორე კატეგორიის გზატკეცილებისა, მოკირწყლული გზებისა და ყამირგზების განკუთვნილი ზოლები, ყველა საგზაო ნაგებობითა და შენობით, აგრეთვე ამ ზოლებზე აღმოცენილი ტყეებით არის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უშუალო გამგებლობაში, რომელიც განაგებს ამ გზებს ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობით და დირექტივების მიხედვით. მესამე კატეგორიის გზების განკუთვნილი ზოლები არის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში: სამაზრო, სადაირო, საუბნო და სათემო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოებისა—კუთვნილებისამებრ. სპეციალური დანიშნულების გზების განკუთვნილი ზოლები არის იმ უწყებათა და საწარმოთა გამგებლობაში, რომელთა ინტერესებსაც ეს გზები მომსახურეობას უწევენ. ადგილობრივი მნიშვნელობისა და სპეციალური დანიშნულების გზების მდგომარეობას საერთო ზედამხედველობასა და კონტროლს გაუწევენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოები ა/კსფსრ—გზატკეცილებისა და ყამირგზებისა ღა საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს სადირექტივო ხელმძღვანელობით“.

6. „სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის დებულების“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-რი, მუხ. 204) მე-15 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 15. ინსტრუქციებს ამა დებულების შეფარდებისათვის გამოსცემენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები“.

7. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 19-ს დადგენილებით დამტკიცებულ „ა/კსფსრ ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარაგზების მდგომარეობისა და შენახვისათვის გზათა სახალხო კომისარიატის მიერ საერთო ზედამხედველობის განხორციელების წესის დებულებას“ შეეცვალოს სათაური და ეწოდოს: „დებულება ა/კსფსრ-ის ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და ყამირგზების მდგომარეობისა და შენახვისათვის საერთო ზედამხედველობის განხორციელების წესის შესახებ“.

8. ამა დადგენილების წინა (7) მუხლში აღნიშნული დებულების 1-ლი მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 1. საერთო ტეხნიკურ ზედამხედველობას ა/კსფსრ ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და ყამირგზების მდგომარეობისა და შენახვისათვის და აგრეთვე ამ გზების გაყვანისა და ექსპლოატაციის ტეხნიკური და ნორმატიული მხარის მოწესრიგებას, რაც უზრუნველჰყოფს მათ დაცვას, უშიშროებას და სარგებლობის წეს,—განახორციელებენ,—გზათა სახალხო კომისარიატის გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური სამმართველოს სადირექტივო ხელმძღვანელობით,—ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოები".

9. მე-2 და 6 მუხლები ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. იანვრის 16-ს დადგენილებისა „რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევის წესის შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-2 №-რი, მუხ. 22) მუღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 2. რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების გაყვანისა, რემონტისა და შენახვის ყველა საპერსპექტივო და წლიური გეგმა და ხარჯთაღრიცხვა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს მიერ წარედგინება დასადასტურებლად სათანადო რესპუბლიკანურ სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ,—ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს მეშვეობით,—წარედგინება დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს".

„მუხ. 6. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დამტკიცებული ანგარიში წარედგინება,—ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს მეშვეობით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს".

II.

მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეიტანონ აღნიშნული რესპუბლიკების კანონმდებლობაში ის ცვლილებანი, რაც გამომდინარეობს ა/კსფსრ საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო საქმის სამმართველოს რეორგანიზაციიდან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. ივლისის 22. ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

113. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოსათვის სავალდებულო დადგენილებათა და ინსტრუქციათა გამოცემისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების უფლების მინიჭების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უფლება მიეცეს ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს გამოსცეს ხოლმე ინსტრუქციები, წესები და სავალდებულო დადგენილებები მისი გამგებლობის შესაბამისი შემდეგი საკითხების გამო:

ა) ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვის შესახებ;

ბ) ავტო-მოტო-მანქანების ტეხნიკური მხრით წესიერად და უვნებლად შენახვის შესახებ;

გ) გზატკეცილებზე, ყამირგზებზე და აგრეთვე დასახლებულ ადგილებში საერთო სარგებლობის გზებზე ავტო-მანქანების მოძრაობის წესისა და უშიშროების დაცვის შესახებ.

შენიშვნა. ამა მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნული საკითხების შესახებ სავალდებულო დადგენილებებს ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო გამოსცემს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

2. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს მიერ, ამა დადგენილების წესისამებრ, გამოცემული სავალდებულო დადგენილებები და ინსტრუქციები გამოცხადებულ უნდა იქნეს მათი მოქმედების რაიონში, არა უგვიანეს ორი კვირისა ძალაში შესვლამდე, საყოველთაო ცნობად, ისეთი საშუალებით, რაც უზრუნველჰყოფს დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირებისათვის აღნიშნული დადგენილებებისა და ინსტრუქციების გაცნობის შესაძლებლობას.

სავალდებულო დადგენილებასა და ინსტრუქციაში აღნიშნულ უნდა იქნეს მისი ძალაში შესვლის ვადა.

3. სავალდებულო დადგენილების გამოცემა ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს შეუძლიან არა უმეტეს, ვიდრე ერთი წლის ვადით; აღნიშნული ვადის გასვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ეს დადგენილება შეიძლება ხელახლად იქნეს გამოცემული მე-2 მუხლში და 1-ლი მუხლის შენიშვნაში აღნიშნული წესის დაცვით.

ინსტრუქცია და წესები შეიძლება გამოიცეს უვადოდ, სათანადო შემდგომი აქტით გაუქმებამდე ან შეცვლამდე.

4. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს მიერ 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი საკითხების თაობაზე გამოცემული სავალდებულო დადგენილებისა და ინსტრუქციის დარღვევისათვის ქვემოდ, მე-5 მუხლში, აღნიშნული თანამდებობის პირნი დაადებენ დამნაშავეთ ჯარიმას არა უმეტეს იმ რაოდენობისა, რაც გათვალისწინებულია დადგენილებასა თუ ინსტრუქციაში; ეს ჯარიმა, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს ას (100) მანეთს.

შენიშვნა 1. ამა დადგენილებით გათვალისწინებული სავალდებულო დადგენილებებისა და ინსტრუქციების დარღვევისათვის ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ან მისი ორგანოების (ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში) თანამდებობის პირნი, უკეთუ დარღვევა მათ მიერ ჩადენილია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, დევნილ უნდა იქნენ საადმინისტრაციო წესით.

შენიშვნა 2. ამა დადგენილებით გათვალისწინებული სავალდებულო დადგენილებისა თუ ინსტრუქციების დარღვევისათვის დამნაშავე სამხედრო მსახურს საადმინისტრაციო გადასახდელს დაადებს, დარღვევის აღმომჩენი თანამდებობის პირის შესაბამისი აქტის თანახმად, ჯარის სათანადო უფროსი, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სადისციპლინო წესდების მიხედვით.

5. ამა დადგენილების წესით გამოცემული სავალდებულო დადგენილებისა თუ ინსტრუქციის დარღვევისათვის ჯარიმას დამნაშავეთ დაადებენ:

ა) როდესაც დარღვეულია 1-ლი მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული საგნების გამო გამოცემული დადგენილება ან ინსტრუქცია—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე, იმ უდიდესი თანხის ფარგლებში, რაც აღნიშნულია სათანადო დადგენილებასა თუ ინსტრუქციაში;

ბ) როდესაც დარღვეულია 1-ლი მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტში აღნიშნული დადგენილება ან ინსტრუქცა—ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს და მისი ორგანოების (ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში) ავტო-ინსპექტორები—ოცდახუთი მან. ფარგლებში, და მთავარი სამმართველოს ავტო-განყოფილების უფროსი და აგრეთვე რესპუბლიკანური გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების უფროსები—იმ უდიდესი თანხის ფარგლებში, რაც აღნიშნულია სათანადო დადგენილებასა თუ ინსტრუქციაში;

გ) როდესაც დარღვეულია 1-ლი მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნული დადგენილება—ამა მუხლის „ბ“ პუნქტში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა გარდა, აგრეთვე მილიციის თანამშრომელი, რომელიც საამისოდ უფლებამოსილია ა/კსფსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ,—ოცდახუთი მანეთის ფარგლებში.

6. სავალდებულო დადგენილებისა და ინსტრუქციის დარღვევის ყოველი შემთხვევის გამო შედგენილ უნდა იქნეს აქტი ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს და მისი ორგანოების (ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში) სათანადო თანამდებობის პირის მიერ.

შენიშვნა. 1-ლი მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნული სავალდებულო დადგენილების დარღვევის თაობაზე აქტი შეიძლება შეადგინოს აგრეთვე მილიციის ორგანომ.

7. დადგენილება ჯარიმის დადების შესახებ გაფორმებულ უნდა იქნეს წერილობით და მისი ასლი ჩაბარდეს გადასახდელ-დადებულ პირს.

8. დადგენილება ჯარიმის გადახდევინების შესახებ გამოტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა დარღვევის დღიდან; აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ საადმინისტრაციო გადასახდელი არ შეიძლება დაიდვას.

9. უკეთუ დამნაშავე უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, მას ჯარიმას გადაახდევინებს მილიცია იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ჯარიმის გადახდევინების კანონით.

10. გადასახდელ-დადებულ პირს შეუძლიან განასაჩივროს დადგენილება ჯარიმის გადახდევინების შესახებ ჯარიმის-დამდები თანამდებობის პირის საუწყებო ხელქვეითობის წესით, ორი კვირის განმავლობაში სათანადო დადგენილების ასლის ჩაბარების დღიდან. საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს დადგენილების აღსრულებას.

11. ჯარიმის გადახდევინებით შემოსული თანხები შევა ხაზინის შემოსავალში ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს ან მისი ორგანოების (ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში) ხარჯთაღრიცხვებით.

შენიშვნა. მილიციის მიერ იძულებითი წესით გადახდევინებული ჯარიმის თანხების ოცდახუთი პროცენტი მიიქცევა გადახდევინებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად; ამ ნაწილის გადარიცხვის წესს განსაზღვრავს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი—ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსთან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. ივლისის 22. ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

114. უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების შეცვლის და დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულებას“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-რი, მუხ. 636) დაემატოს 31¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„31¹. ის უცხოელი, რომლის ცხოვრების ვითარება, მოქმედება და ყოფა-ქცევა ცნობილ იქნა როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრების პრინციპებისა და წყობის შეუსაბამო და მისი ინტერესებისათვის მავნებელი, შეიძლება განდევნილ იქნეს ა/კსფსრ ფარგლებიდან საზღვრგარედ, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილებით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს სსრკ-ის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან ა/კსფსრ-ში.

განდევნის წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელიც გამოცემულ უნდა იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შეთანხმებით სსრკ-ის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან ა/კსფსრ-ში და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატთან“.

2. აღნიშნული დებულების მე-14 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„14. ის პირი, რომელიც ა/კსფსრ-ში სცხოვრობს და რომელიც თავისთავს უცხოელად სთვლის, ხოლო სათანადო ნაციონალური პასპორტი-კი არა აქვს, მოვალეა შეიტანოს განცხადება თავისი მოქალაქეობის თაობაზე და საცხოვრებელი დოკუმენტის მიცემის შესახებ იმ ხნით, ვიდრე იგი სათანადო ნაციონალურ დოკუმენტს მიიღებდეს.

ეს განცხადება შეიტანება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ან, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამაზრო მილიციაში—იმ დოკუმენტის დართვით, რომლითაც განმცხადებელი სცხოვრობს და ყველა სხვა დოკუმენტითურთ, რაც-კი მის უცხოელ მოქალაქეობას ამტკიცებს“.

3. აღნიშნული დებულებიდან ამოიშალოს 21, 22 და 32 მუხლები.

4. 27 მუხლის „ა“ ლიტერის მე-7 პუნქტში ამოიშალოს ფრჩხილებში მოქცეული სიტყვები:

„იხ. ა/კ. სახ. კომისართა საბჭოს მე-40 №-ის დადგენილება.— ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-8 №-რი, მუხ. 474“.

5. 27 მუხლის „ა“ ლიტერის მე-3 პუნქტში სიტყვები „საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიის“ შეიცვალოს სიტყვებით: „გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების“.

6. მე-15 მუხლში სიტყვები „საცხოვრებელი დოკუმენტის მიცემაზე“ შეიცვალოს სიტყვებით: „უცხოელად ცნობაზე“.

7. მე-4 მუხლის მე-2 შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა 2.** ეროვნებით სპარსეთისა თუ ავღანისტანის მოქალაქე-ქალი, რომელიც ამასთანავე სარწმუნოებით მუსლიმანია და რომელსაც ევროპიული განათლება არ მიუღია სპარსეთისა ან ავღანისტანის გარეშე, განთავისუფლდება, საცხოვრებელი დოკუმენტის მიღების დროს, ფოტოგრაფიული სურათის წარდგენისაგან. ეს ქალი შეიძლება ჩაწერილ იქნეს ქმრის ან მამის საცხოვრებელ დოკუმენტში—ვისთანაც იგი სცხოვრობს“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. ივლისის 22. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

115. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს ანარიცხის გადადება ადგილობრივ სახსარში იმ გამოსაღების ოცდახუთი პროცენტის რაოდენობით, რასაც ახდევინებენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოები საერთო-სამოქალაქო საუცხოეთო პასპორტებისა, ა/სფსრ-დან წასვლის ნებართვისა და უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის გაცემისათვის.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად—/აკსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) 23 მუხლს დაემატოს პუნქტი „ო“ შემდეგი შინაარსისა:

„ო) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ, საერთო-სამოქალაქო საუცხოეთო პასპორტისა, ა/კსფსრ-დან წასვლის ნებართვისა და უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის გაცემისათვის გადასახდევინებელი გამოსაღების ანარიცხი—შემოსული გამოსაღების ოცდახუთი პროცენტის რაოდენობით“.

3. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს 1928 წ. ოქტომბრის 1-დან.

4. მე-13 მუხლს დაემატოს პუნქტი „ე“ შემდეგი შინაარსისა:

„ე) სოფლად მომქმედი, ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი სკოლების შენობებისა, გაწყობილობისა და ინვენტარის სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის წესით ცეცხლისაგან დაზღვევისათვის გადასახადის შესატანად საჭირო ხარჯები“.

5. მე-14 მუხლს დაემატოს პუნქტი „ზ“ შემდეგი შინაარსისა:

„ზ) სოფლად მომქმედი, ადგილობრივ ბიუჯატზე მყოფი საავადმყოფოების შენობებისა, გაწყობილობისა და ინვენტარის სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის წესით ცეცხლისაგან დაზღვევისათვის გადასახადის შესატანად საჭირო ხარჯები“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. ივლისის 22. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

116. სამრეწველო საწარმოთა სახლებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავენ, რომ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალმა რესპუბლიკებმა არ აღასრულეს სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 15-ს დადგენილება „სამრეწველო საწარმოთა კუთვნილი საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1928 წ. № 57, მუხ. 498) და ადგენენ:

1. სამრეწველო საწარმოთა იმ საცხოვრებელ სადგომებზე, რომლებიც ამა დადგენილების გამოცემამდე, დათმობილი ჰქონდათ უფასოდ ამ საწარმოთა თანამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომელთ, დაწესებულ იქნეს სასყიდელი ისეთი განაკვეთით, რაც შეესაბამება აღნიშნულ საწარმოთა სახლების შენახვის თვითღირებულებას საწარმოთათვის. თვითღირებულების განაკვეთის განსაზღვრის დროს ანგარიშში მიიღება მარტოოდენ სადგომის სიავკარგე და მხედველობაში არ მიიღება დამქირავებლის სამუშაო ხელფასი და ოჯახის შედგენილობა.

შენიშვნა. საცხოვრებელი სადგომის სასყიდლის კონკრეტულ განაკვეთს განსაზღვრავს საწარმო, სათანადო პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით, თვითღირებულების იმ ნორმებთან შეფარდებით, რასაც დაიწესებს სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო—სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით.

აღნიშნული კონკრეტული განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს სათანადო ადგილობრივი საბჭოს ძირითად განაკვეთებს, რასაც შეიძლება დაერთოს არა უმეტეს ოცდახუთი პროცენტისა სამრეწველო საწარმოს მიერ აშლად, დაწყებული 1924 წლიდან, აშენებული სახლისათვის.

2. თვითღირებულების იმავე საფუძველზე დაწესდება საცხოვრებელი სადგომების სასყიდელი სამრეწველო საწარმოთა კუთვნილ, ქალაქ-გარეთ მდებარე, სახლებში, სადაც, ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებამდე, საცხოვრებელი სადგომების სასყიდელს დამქირავებელნი იხდიდნენ ადგილობრივი საბჭოების იმ განაკვეთებზე ნაკლებს, რაც 1928 წ. აპრილის 1-დე მოქმედობდა.

3. 1-ლ და 2 მუხლებში გათვალისწინებულ საფუძვლებზე გადატანა საცხოვრებელი სადგომების სასყიდლის გაღებისა მოხდება სამრეწველო საწარმოთა და სათანადო პროფესიონალურ კავშირთა შორის სპეციალური შეთანხმების დადების წესით და ეს დამთავრებულ უნდა იქნეს 1929 წ. ოქტომბრის 1-თვის.

4. სამრეწველო საწარმოთა სახლების ისეთ საცხოვრებელ სადგომებში, რომლებიც ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებშია და რომლებშიაც, ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებამდე, დამქირავებელნი სასყიდელს ადგილობრივი საბჭოების იმ განაკვეთებზე ნაკლებს იხდიდნენ, რაც 1928 წ. აპრილის 1-დე მოქმედობდა, საცხოვრებელი სადგომის სასყიდელი დაწესებულ იქნეს, სათანადო კოლექტიური ხელშეკრულების ხელახალი დადების მომენტიდან, ადგილობრივი საბჭოების ახალი განაკვეთებით, რაც განსაზღვრულ იქნება „ა/კსფსრ ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ფასის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 1-ს დადგენილების თანახმად.

5. სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა ყველა იმ სახლში, სადაც საცხოვრებელი სადგომების სასყიდელს დამქირავებელნი იხდიდნენ (კერძოდ, კოლექტიური ხელშეკრულობის თანახმად) 1928 წ. აპრილის 1 დე მომქმედი განაკვეთებით, საცხოვრებელი სადგომების სასყიდელი დაწესებულ იქნეს ადგილობრივი საბჭოების ახალი განაკვეთებით, რაც განსაზღვრულ იქნება „ა/კსფსრ ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ფასის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 1-ს დადგენილების თანახმად.

აღნიშნული ახალი განაკვეთები შემოიღება სათანადო კოლექტიური ხელშეკრულებების ხელახლად დადების მომენტიდან, რაც უნდა მოხდეს კოლექტიური ხელშეკრულების დადების წინამდებარე კამპანიის პერიოდში.

6. სათანადო საწარმოთა მომუშავეებს, რომელნიც მრეწველობის სახლებში სცხოვრობენ, ის დამატებითი ხარჯები, რასაც გამოიწვევს ბინის სასყიდლის ახალი განაკვეთებით გადახდა ან ბინის უსასყიდლობიდან სასყიდელზე გადასვლა, აენაზღაურებათ საწარმოს მიერ სპეციალური საბინაო ზედნართების სახით. სპეციალური საბინაო ზედნართის რაოდენობას, რაც უწყებული საწარმოს მომუშავეთ უნდა მიეცეს, განსაზღვრავს ეს საწარმო—სათანადო პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით; ამასთანავე, შეიძლება დაწესებულ იქნეს ზედნართების რამდენიმე სხვადასხვა კატეგორია რაოდენობის მიხედვით.

მე-5 მუხლში აღნიშნული საცხოვრებელი სადგომების დამქირავებელთ სათანადო საწარმოთა მომუშავების წრიდან —დამატებითი ხარჯებს, რასაც გამოიწვევს საცხოვრებელი სადგომების სასყიდლის ახალი განაკვეთებით გადახდა, საწარმო არ აუნაზღაურებს.

7. ყოველი საწარმო, რომლის მომუშავეებსაც სპეციალური ზედნართები უნდა მიეცეს, შექმნის საბინაო ზედნართების ფონდს შემდეგი ვარაუდით:

ა) მე-4 მუხლში აღნიშნულ სახლებში საცხოვრებელი სადგომების დამქირავებლებისათვის ზედნართების მისაცემად ისეთი რაოდენობით, რასაც შეადგენს განსხვავება იმ საბინაო ქირის თანხასა, რომელსაც ისინი ფაქტიურად იხდიდნენ 1928 წ. აპრილის 1-დე, და იმ საბინაო ქირის თანხას შორის, რაც მათ უნდა გადაეხადნათ ადგილობრივი საბჭოების იმ დროს მომქმედი განაკვეთებით;

ბ) მე-2 მუხლში აღნიშნულ სახლებში საცხოვრებელი სადგომების დამქირავებლებისათვის ზედნართების მისაცემად ისეთი რაოდენობით, რასაც შეადგენს განსხვავება მთლად იმ საბინაო ქირის თანხასა, რაც გადახდილ უნდა იქნეს ამა დადგენილების თანახმად, და მთლად იმ საბინაო ქირის თანხას შორის, რასაც ისინი ფაქტიურად იხდიდნენ ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებამდე;

გ) 1-ლ მუხლში აღნიშნულ სახლებში საცხოვრებელი სადგომების დამქირავებლებისათვის ზედნართების მისაცემად იმ საბინაო ქირის მთელი თანხის რაოდენობით, რაც გადახდილ უნდა იქნეს ამა დადგენილების თანახმად.

8. სამრეწველო საწარმოთ უფლება აქვთ, პროფესიონალურ კავშირებთან შეთანხმებით, საბინაო ზედნართების ფონდებს შეუერთონ ის თანხები, რაც ამ ჟამად საწარმოს მიერ გაიცემა ხოლმე საბინაო ფულის სახით, რათა საბინაო ფულისა და საბინაო ზედნართის მთელი თანხა ხელახლად განაწილებულ იქნეს სათანადო საწარმოს ყველა მომუშავეთა შორის.

9. საცხოვრებელი სადგომების სასყიდლის დაწესებასთან ერთად და იმავე საფუძველზე შემოიღება სასყიდელი იმ კომუნალური მომსახურეობისათვის (გათ-

ბობა, განათება, წყლის მიწოდება), რასაც სათანადო საწარმო თავის მომუშავეთ უწევს და რაც მათ, ამა დადგენილების შემოღებამდე, უსასყიდლოდ ან თვითლირებულებასთან შედარებით მცირე ფასად ეთმობოდათ.

10. სპეციალური საბინაო ზედნართი და არსებული საბინაო ფული სამუშაო ხელფასის სისტემაში არ შეიტანება. საბინაო ზედნართებზე და საბინაო ფულზე საწარმო ანარიცხებს არ იხდის (სადასაზღვეო შესატანი, ანარიცხი პროფესიონალურ კავშირთა ადგილობრივი ორგანოების შესანახად და სხვ.). სოციალური დაზღვევის წესით გასაცემი პენსიებისა და დახმარების გამოანგარიშების დროს საბინაო ზედნართები და საბინაო ფული სათვალავში არ მიიღება. საბინაო ზედნართებსა და საბინაო ფულს საწარმო იხდის მომუშავის მიერ დროებით შრომის უნარდაკარგვის პერიოდში. გადასახადით დაბეგვრისათვის მომუშავის მიერ დაქირავებით მიღებული სამუშაო ხელფასის საერთო თანხის აღრიცხვის დროს საბინაო ზედნართი და საბინაო ფული სათვალავში არ მიიღება.

11. უკეთუ საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი არ ეკუთვნის იმ სამრეწველო საწარმოს მომუშავეთა რიცხვს, რომლის სახლშიაც იგი სცხოვრობს, და ამ სახლში დაწესებულია საცხოვრებელი სადგომის სასყიდლის თვითღირებულების (საწარმოსათვის) რაოდენობით გადახდა (1 და 2 მუხ.),—აღნიშნული დამქირავებელი საცხოვრებელი სადგომისა და კომუნალური მომსახურეობის სასყიდელს გადაიხდის ადგილობრივი საბჭოს განაკვეთით, ვინიცობაა ეს განაკვეთი მცირე არ არის ამ საწარმოს მომუშავეთათვის განსაზღვრულ განაკვეთებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში—იგი სასყიდელს გადაიხდის ამ საწარმოს მომუშავეთათვის დადგენილი განაკვეთებით.

12. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად და ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის; ამ ინსტრუქციაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს კონკრეტულად სათანადო სამრეწველო საწარმოთა საცხოვრებელი სადგომების სასყიდლის ახალ სისტემაზე გადასვლის წესი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. ივლისის 22. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

117. მუშათა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის სამუშაო დღის შემცირების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შემცირებულ იქნეს ორი საათით ა/კსფსრ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ საწარმოსა და დაწესებულებაში მომუშავე მუშათა ფაკულტეტის ყველა კურსის სტუდენტებისათვის რვა საათის სამუშაო დღე, სადაც-კი იგი შემოღებულია; შვიდსაათიან სამუშაო დღის მქონე საწარმოსა და დაწესებულებაში სამუშაო დღე მუშათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის შემცირებულ იქნეს ერთი საათით.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ სტუდენტებს შეენარჩუნოთ მათი ხელფრი სამუშაო ხელფასი სრული სამუშაო დღისათვის.

3. განთავისუფლებულ იქნენ აღნიშნული სტუდენტები სასწავლო წლის განმავლობაში გამოცდების დროს ორი კვირით მთლად მუშაობისაგან და შეენარჩუნოთ მათ სრულად ხელფრი სამუშაო ხელფასი.

4. მიენდოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

5. ამიერკავკასიის ეცნტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი 1926 წ. იანვრის 18-სა (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 577) და 1926 წ. სექტემბრის 27-სა (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-10 №-რი, მუხ 721) გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. ივლისის 22. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

118. სამუშე ბინათ-მშენებლობის დაკრედიტებისათვის არსებული სპეციალური კაპიტალებისა და ფონდების გამოყენების გეგმების შედგენისა, დამტკიცებისა და აღსრულების შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1929 წ. იანვრის 30 დამტკიცებული „მუშათა ბინების მშენებლობის ხელისშემწყობ ღონისძიებათა დებულების“ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-9 №-რი, მუხ. 84) თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ-ში სამუშე ბინათ-მშენებლობის დაკრედიტების მიზნისათვის არსდება შემდეგი სპეციალური კაპიტალები და ფონდები:

ა) ამიერკავკასიის სპეციალური ფონდი;

ბ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სპეციალური კაპიტალები;

გ) ადგილობრივი სპეციალური კაპიტალები;

დ) ქალაქებისა, მუშებით დასახლებული ადგილებისა, კურორტებისა და აგარაკების საბინაო ფონდების სპეციალური კაპიტალები;

ე) ცალკე საწარმოთა სამუშე ბინათ-მშენებლობის ფონდები.

2. სამუშე ბინათ-მშენებლობის დაკრედიტების ამიერკავკასიის სპეციალური კაპიტალი შესდგება:

ა) სპეციალური ასიგნებისაგან ამიერკავკასიის ბიუჯეტით;

ბ) შემდეგ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდებიდან სამუშე ბინათ-მშენებლობისათვის გადადებული ანარიცხებისაგან:

1) ამიერკავკასიის მასშტაბის კოოპერატიული ბანკებისა და სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციების ფონდებიდან;

2) ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეგისტრაციაში გასატარებელ, კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპებზე მომქმედ სახელმწიფო საწარმოთა ფონდებიდან, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა გამოკლებით;

3) ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეგისტრაციაში გასატარებელ, შერეულ სააქციო საზოგადოებათა და კოოპერატიული კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა ფონდებიდან, იმ საზოგადოებათა გამოკლებით, რომელთაც, მათი წესდების თანახმად, ძირითად მიზნად აქვთ სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა ექსპლოატაცია.

შენიშვნა. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდებიდან სამუშე ბინათ-მშენებლობისათვის ანარიცხების გადადებას სათანადო საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია აწარმოებს „მუშა-მოსამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდების—1928 წ. ივნისის 27-ს—დებულების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 43 №-რი, მუხ 387).

3. ამიერკავკასიის სამუშე ბინათ-მშენებლობის დაკრედიტების სპეციალური კაპიტალი შეიქმნება საქართველოს კომუნალურ ბანკთან და განაწილდება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს შორის იმ გეგმების მიხედვით, რასაც შეიმუშავებს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან და ამიერკავკასიის საბინაო საბჭოსთან შეთანხმებით—და რასაც დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამუშე ბინათ-მშენებლობის დაკრედიტების სპეციალური კაპიტალები შესდგება:

ა) სპეციალური ასიგნებისაგან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებით;

ბ) შემდეგ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდებიდან სამუშე ბინათ-მშენებლობისათვის გადადებული ანარიცხებისაგან:

1) კოოპერატიული ბანკებისა და რესპუბლიკანური მასშტაბის სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციების ფონდებიდან;

2) ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში) სამმართველოს რეგისტრაციაში გასატარებელ, კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპებზე მომქმედ სახელმწიფო საწარმოთა ფონდებიდან, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა გამოკლებით;

3) ვაჭრობის სახალხო ქომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში) სამმართველოს რეგისტრაციაში გასატარებელ შერეულ სააქციო საზოგადოებათა და კოოპერატიული კაპიტალის უპირატესობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა ფონდებიდან, იმ საზოგადოებათა გამოკლებით, რომელთაც, მათი წესდების თანახმად, ძირითად მიზნად აქვთ სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა ექსპლოატაცია;

გ) სამიზნო საბინაო გადასახადის შემოსავლისაგან (მე-7 მუხ. შენიშვნა);

დ) ამიერკავკასიის სპეციალური კაპიტალიდან მიღებული შემოსავლისაგან.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამუშე ბინათ-მშენებლობის დაკრედიტების კაპიტალები შეიმქნება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კომუნალურ ბანკებთან, სადაც ეს ბანკები არსებობს, ხოლო იქ, სადაც ასეთი ბანკი არ არსებობს, სპეციალური რესპუბლიკანური კაპიტალი შეიქმნება ადგილობრივ კომუნალურ (საქალაქო) ბანკთან.

6. სამუშე ბინათ-მშენებლობის დაკრედიტების რესპუბლიკანური სპეციალური კაპიტალები იხარჯება წლიური გეგმების მიხედვით, რასაც შეიმუშავებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატები—ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებთან და საბინაო კავშირებთან შეთანხმებით—და რასაც დაამტკიცებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

7. სამუშე ბინათ-მშენებლობის დაკრედიტების ადგილობრივი სპეციალური კაპიტალები შეიქმნება საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებთან, ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და ავტონომიური ოლქების აღმასრულებელ კომიტეტებთან. ეს კაპიტალები შესდგება:

ა) სპეციალური ასიგნებისაგან ადგილობრივი ბიუჯეტით;

ბ) კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპებზე მომქმედ ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთა (სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა გამოკლებით) მუშა-მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდებიდან სამუშე ბინათ-მშენებლობისათვის გადადებული ანარიცხებისაგან და აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციების ანარიცხებისაგან;

გ) მუშათა ბინების მშენებლობის საჭიროებისათვის დაწესებული სამიზნო საბინაო გადასახადის შემოსავლისაგან;

დ) საქალაქო საბჭოებისა, მუშებით დასახლებული ადგილების საბჭოებისა, საკურორტო და საგარეაკო ადგილების საბჭოების მიერ საბინაო ფონდების სპეციალური კაპიტალებიდან გადადებული ანარიცხებისაგან ათი პროცენტის რაოდენობით;

ე) სხვა წყაროების შემოსავლისაგან, რაც შეიძლება დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით და სათანადო ადგილობრივი საბჭოების დადგენილებებით.

შენიშვნა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ მიაქციონ არა უმეტეს შემოსული სამიზნო საბინაო გადასახადის ოცი პროცენტისა სამუშე ბინათ-მშენებლობის დაკრედიტების რესპუბლიკანურ სპეციალურ კაპიტალებში.

8. შემოსული მიზნობრივი საბინაო გადასახადი სათანადო სპეციალურ კაპიტალებში გადაირიცხება მიღებისადამიხედვით.

საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალების ანარიცხები ადგილობრივი სპეციალური კაპიტალებისათვის შეიტანება სათანადო ბანკებში შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილ ვადებზე.

9. ადგილობრივი სპეციალური კაპიტალები შეიქმნება ადგილობრივ კომუნალურ (საქალაქო) ბანკებთან, ხოლო იქ, სადაც ასეთი ბანკი არ არსებობს, რესპუბლიკანურ ბანკებთან ან სსრკ სახელმწიფო ბანკის ფილიალებთან.

10. სამუშე ბინათ-მშენებლობის დაკრედიტების ადგილობრივი სპეციალური კაპიტალები იხარჯება იმ წლიური გეგმების მიხედვით, რასაც შეიმუშავებს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი, შეუთანხმებს ძირითად მეალნაგეთ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს და დაამტკიცებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი.

11. ქალაქებისა, მუშებით დასახლებული ადგილებისა, საკურორტო და საგარეაკო ადგილების საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალები შესდგება:

ა) იმ საცხოვრებელი სადგომების წმინდა შემოსავლისა და საამორტიზაციო თანხებისაგან, რომელთა ექსპლოატაციასაც უშუალოდ ადგილობრივი საბჭოები ეწევიან;

ბ) ადგილობრივი საბჭოების მიერ გაქირავებული საცხოვრებელი სახლების საიჯარო ქირისაგან;

გ) იმ სადგომების საიჯარო ქირისაგან, რასაც ადგილობრივი საბჭოები მიაქირავებენ სახელმწიფო დაწესებულებათ კანცელარიისათვის და სხვა, არასავაჭრო და არასამრეწველო საჭიროებისათვის;

დ) იმ მუნიციპალურ შენობათა გაყიდვით მიღებული თანხებისაგან, რომელთა გაყიდვაც კანონის მიხედვით შეიძლება;

ე) სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო სადგომების საიჯარო ქირის ანარიცხებისაგან ადგილობრივი საბჭოების მიერ დადგენილი რაოდენობით, ხოლო არანაკლებ ორმოცდაათი პროცენტისა;

ვ) სხვა წყაროების შემოსავლისაგან, რაც შეიძლება დაწესებულ იქნეს სათანადო ადგილობრივი საბჭოების დადგენილებებით.

12. საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალები ინახება სათანადო საბჭოების მიმდინარე ანგარიშებზე ადგილობრივ კომუნალურ (საქალაქო) ბანკებში, ხოლო იქ, სადაც ასეთი ბანკები არ არსებობს,—რესპუბლიკანურ კომუნალურ ბანკებში ან სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ფილიალებში.

საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალი გამოიყენება სათანადო ადგილობრივი საბჭოების მიერ დამტკიცებული წლიური გეგმების მიხედვით მარტოოდენ ახალი ბინების აგებისა და აგრეთვე არსებული მუნიციპალური ფონდის ბინების აღდგენისა და კაპიტალური რემონტისათვის, რასაც განახორციელებენ სათანადო ადგილობრივი საბჭოები უშუალოდ ან საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობებისათვის საამმიხნოდ გრძელვადიანი სესხის მიცემის წესით.

13. ცალკეულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სამუშე ბინათ-მშენებლობის ფონდები შესდგება და იხარჯება მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდების დებულების (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მუხ. 387 და 1929 წ. მე-9 №-რი, მუხ. 86) წესისამებრ; ეს ფონდები ინახება ადგილობრივ კომუნალურ (საქალაქო) ბანკებში, ხოლო იქ, სადაც ასეთი ბანკები არ არსებობს,—რესპუბლიკანურ კომუნალურ ბანკებში ან სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ფილიალებში.

14. ამა დადგენილების მე-2, 4 და 7 მუხლებში აღნიშნულ სპეციალურ კაპიტალებში მისაქცევი მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდების ანარიცხები შეიტანება სათანადო საკრედიტო დაწესებულებებში „მუშათა ბინების მშენებლობის ხელისშემწყობ ღონისძიებათა დებულების“ მე-20 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ.

15. ღონისძიების მიღება იმისათვის, რათა ამა დადგენილების მე-2, 4 და 7 მუხლებში აღნიშნულ სპეციალურ კაპიტალებში თავის დროზე შედიოდეს ამ კაპიტალების შესაქმნელად მისაქცევი სახსარი,—დაევალება იმ საკრედიტო დაწესებულებათ, რომლებთანაც ეს კაპიტალებია დაარსებული—კუთვნილებისამებრ.

16. მეთვალყურეობის გაწევა იმისათვის, რათა ამა დადგენილების მე-2, 4, 7 და 11 მუხლებში აღნიშნულ სპეციალურ კაპიტალებში სახსარი სისწორით შედიოდეს, დაეკისრება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს და მათ ადგილობრივ ორგანოებს—კუთვნილებისამებრ.

მეთვალყურეობის გაწევა იმისათვის, რათა ცალკეულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა (მე-13 მუხ.) სამუშე ბინათ-მშენებლობის ფონდების სახსარი სისწორით შედიოდეს, ინახებოდეს და გამოიყენებოდეს, დაეკისრება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს—კუთვნილებისამებრ.

17. საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალებიდან (მე-11 მუხ.) და ცალკეულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სამუშე ბინათ-მშენებლობის ფონდებიდან (მე-13 მუხ.) გრძელვადიანი სესხის გაცემა სწარმოებს მარტოოდენ იმ საკრედიტო დაწესებულებათა მეშვეობით, სადაც აღნიშნული კაპიტალებისა და ფონდების სახსარი ინახება. ამ საკრედიტო დაწესებულებათ სათანადო თანხები გადაეცემათ გრძელვადიანი ანაბარების სახით განსაკუთრებული ხელშეკრულების საფუძველზე, რასაც დასდებს სათანადო ადგილობრივი საბჭო, საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია—კუთვნილებისამებრ.

18. სესხი მუშათა ბინების ასაგებად ამა დადგენილების მე-4, 7 და 13 მუხლებში აღნიშნული სპეციალური კაპიტალებიდან და ფონდებიდან გაიცემა „მუშათა ბინების მშენებლობის ხელისშემწყობ ღონისძიებათა დებულებით“ გათვალისწინებულ პირობებზე (27-31 მუხ).

19. მსესხებელნი წარადგენენ კომუნალურ (საქალაქო) ბანკში და მის ფილიალში, აგრეთვე სხვა ბანკში, რომელიც ასრულებს სამუშე ბინათ-მშენებლობის დაკრედიტების გეგმებს, კუთვნილებისამებრ, განცხადებას სამუშე ბინათ მშენებლობის გეგმით გასაცემი სესხის შესახებ, ყველა საჭირო დანართითურთ, არა უგვიანეს აპრილის 1-სა. კომუნალური (საქალაქო) ბანკი დასდებს არა უგვიანეს მაისის 1-სა ხელშეკრულობას მსესხებლებისათვის სათანადო გრძელვადიანი სესხის მიცემის თაობაზე.

შენიშვნა. პასუხისმგებლობა იმისათვის, რათა განცხადებები საბინაო მშენებლობის გეგმის თანახმად გასაცემი სესხის შესახებ თავის დროზე იქნეს წარდგენილი, დაეკისრება: მრეწველობაში—სათანადო ტრესტების გამგეობათა წარმომადგენლებს, მუნიციპალურ მშენებლობაში—ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებს და კოოპერაციაში—სათანადო მუშათა საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობათა გამგეობებს.

20. მსესხებლებთან სესხის მიცემის თაობაზე ხელშეკრულობის დადების დროს განსაზღვრულ უნდა იქნეს სახსარის გაცემის ვადები, რაც მტკიცედ უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების საკალენდრო ვადებს უწყებული საოპერაციო წლის განმავლობაში; ამასთანავე, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მუშაობის ხასიათი და განზრახული პროგრამის შესრულების საკალენდრო ვადები ამის შესაძლებლობას იძლევა, აღნიშნული მშენებლობისათვის გასაცემი სახსარის ნაწილი, ხოლო არა უმეტეს მთელი დანიშნული თანხის ოცი პროცენტისა, შეიძლება გადატანილ იქნეს შემდგომი საოპერაციო წლის პირველ კვარტალში.

21. კომუნალური (საქალაქო) ბანკი, რომელიც სამუშე ბინათ-მშენებლობის დაკრედიტების გეგმას ასრულებს, მისცემს თავის კლიენტებს, ხელშეკრულობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადებამდე, საშენი მასალის დასამზადებლად, ავანსებს არა ნაკლებ გასაცემად ნავარაუდევი კრედიტის თანხის ოცდახუთი პროცენტისა; აღნიშნული ავანსები გაცემულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ყოველი წლის დეკემბრისა—წინამდებარე სეზონის საბინაო მშენებლობისათვის.

შენიშვნა. კოოპერატიული საბინაო მშენებლობისათვის გასაცემი თანხების ოცდახუთი პროცენტი მიეცემა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბინაო კოოპერაციის კავშირებს.

22. სამუშე ბინათ-მშენებლობის ზემოაღნიშნული სპეციალური კაპიტალებიდან და ფონდებიდან გაცემულ სესხთა დასაბრუნებლად მეაღნაგეთაგან შემოსული თანხები მიიქცევა სათანადო კაპიტალებსა და ფონდებში. ამავე კაპიტალებსა და ფონდებში მიიქცევა ამა დადგენილების გამოცემამდე საბინაო მშენებლობისათვის გაცემულ სესხთა დასაბრუნებლად შემოსული თანხები.

23. სამუშე ბინათ-მშენებლობის სპეციალური კაპიტალებისა და ფონდების ოპერაციების მოგება, იმ ხარჯების გამოკლებით, რასაც საკრედიტო დაწესებულებანი გასწევენ ამ კაპიტალებისა და ფონდების ადმინისტრირებაზე, მოხმარდება სათანადო კაპიტალებისა და ფონდების გადიდების საქმეს. აღნიშნული კაპიტალებისა და ფონდების ოპერაციებით გამოწვეული ზარალი ჩაიწერება იმავე კაპიტალებისა და ფონდების ხარჯზე.

24. დადგენილ იქნეს, რომ სახსარი ამიერკავკასიისა, რესპუბლიკანური და ადგილობრივი სამუშე ბინათ-მშენებლობის ფონდებისა, რომლებიც არსებობდნენ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. ივნისის 15-ს დამტკიცებული „მუშათა ბინების მშენებლობის ხელისშემწყობ ღონისძიებათა დებულების“ თანახმად, უნდა გადაიცეს ერთი თვის ვადაზე ამა დადგენილების მე-2, 4 და 7 მუხლების თანახმად დასაარსებელ სპეციალურ კაპიტალებში.

იმავე ვადაზე სათანადო საკრედიტო დაწესებულებათ გადაეცემათ მსესხებელთა ვალდებულებანი იმ სესხთა თაობაზე, რაც გაცემულია რესპუბლიკანური და ადგილობრივი სამუშე ბინათ-მშენებლობის ფონდებიდან, და დაეთმობათ ამ ვალდებულებათაგან გამომდინარე მოთხოვნის უფლებანი.

25. ყველა იმ სახსარის აღნუსხვა, რაც მიიქცევა სამუშე ბინათ-მშენებლობაზე, დაეკისრება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და აკსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატების მეშვეობით.

26. გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1928 წ. მაისის 18-ს თარიღისა და მე-2 №-ის ინსტრუქცია „მუშათა საბინაო მშენებლობის სახსარის შეკრეფისა, აღნუსხვისა და ხარჯვის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-17 №-რი, მუხ. 173).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. ივლისის 22. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 142 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

119. რესპუბლიკების წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის რაზმების წევრებისათვის სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლაში მონაწილეობის დროს თანამდებობისა და საშუალო სამუშაო ხელფასის შენარჩუნების შესახებ.

თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1929 წ. აპრილის 30-ს დადგენილებისა „სტიქიურ უბედურების დროს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის რაზმების გამოყენების შესახებ,— ა/სფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულება, საწარმო, ორგანიზაცია და მეურნეობა მოვალეა დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს ის მუშა და მოსამსახურე, რომელიც წევრია წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის რაზმისა, უკეთუ იგი გაწვეული იქნება სამუშაოდ სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ბრძოლაში.

2. სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ბრძოლაში სამუშაოდ გაწვეულ მუშა-მოსამსახურე—წევრს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის რაზმისას შეენარჩუნება სამსახურის ადგილას მისი თანამდებობა და საშუალო სამუშაო ხელფასი მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც იგი შეასრულებს დავალებულ საქმეს, იმის მიუხედავად, თუ რამდენ ხანს მოუხდება მას მუშაობა და რა მანძილი იქნება მისი სამსახურის ადგილიდან სტიქიური უბედურების ადგილამდე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. ივლისის 11. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 143 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

120. „სამსახურის საბოლოო ვადის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. თებერვლის 20-ს დადგენილების გაუქმების შესახებ.

„დამქირავებლების მიერ დათხოვნილ მომუშავეთათვის მათი ხელფასის გადახდის ვადების შესახებ“ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულე-

ბელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 23-ს დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 24 №-რი, მუხ. 208)—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. თებერვლის 20-ს თარიღისა და მე-7 №-ის დადგენილება „სამსახურის საბოლოო ვადის შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1923 წ. მე-3 №-რი, მუხ. 20).

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს გამოაქვეყნონ იმ თავიანთი დადგენილებების ნუსხა, რომელთაც დაჰკარგეს ძალა ამა დადგენილების გამოცემის გამო.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ივლისის 11. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 144 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

121. ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მსახურთათვის შეკრებაზე გამოუცხადებლობისა და თვითნებისად წასვლის ზოგიერთ შემთხვევაში ადმინისტრატიული წესით დასადებ გადასახდელთა შესახებ.

1. დამნაშავეს:

ა) ერთდღიან მოკლევადიან შეკრებაზე გამოუცხადებლობისათვის და

ბ) სასწავლებლად დაწესებული სამთვიანი პერიოდის და საერთო შეკრების უკანასკნელი ორი დღედაღამის განმავლობაში თვითნებისად წასვლისათვის, უკეთუ წასული ამ სწავლებისა და საერთო შეკრების დამთავრებამდე არ გამოცხადდა თავის ნაწილში, უნდა დაენიშნოს:

პირველად—დაპატიმრება სამ დღედაღამემდე ან ფულადი ჯარიმა არა უმეტეს ათი მანეთისა, ხოლო განმეორებითი გამოუცხადებლობისა და წასვლისათვის—დაპატიმრება შვიდ დღედაღამემდე ან ფულადი ჯარიმა არა უმეტეს ოცდახუთი მანეთისა.

2. 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ გადასახდელთ დაადებენ დამნაშავეთ, მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო სამხედრო უფროსის მიერ შეტყობინებისამებრ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ივლისის 25. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 145 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

122. ა/კსფსრ-ში საკონიუნქტურო დაკვირვებათა ორგანიზაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ-ში საკონიუნქტურო დაკვირვებათათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმე თავმოყრილ იქნეს ა/კსფსრ სახელმფიფო საგეგმო კომისიაში. დაეკალოს ამ უკანასკნელს შეადგინოს პერიოდულად და მოახსენოს ხოლმე ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ჯუმლობითი საკონიუნქტურო მიმოხილვანი და ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის კონიუნქტურის შეფასებანი, აგრეთვე ის ღონისძიებათა გეგმები, რაც ამ შეფასებიდან გამომდინარეობს და წარუდგინოს მიმოხილვანი და კონიუნქტურის შეფასებანი სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

2. მოწყობილ იქნეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან საკონიუნქტურო საბჭო ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თავმჯდომარეობით. საკონიუნქტურო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და წევრებს დანიშნავს პერსონალურად ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წარდგენით.

3. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა საკონიუნქტურო საბჭო თავის მუშაობაში ემყარებოდეს როგორც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საგეგმო ორგანოებს, ისე ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და სხვა უწყებებსა, წაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

4. მასალათა საკონიუნქტურო სტატისტიკისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმე თავმოყრილ იქნეს ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში, რომელსაც დაეკალოს წარუდგინოს ხოლმე ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას სისტემატიური ჯუმლი, რაც, ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე, ახასიათებს კონიუნქტურას და აგრეთვე წარუდგინოს ამ მასალებზე დამყარებული საკონიუნქტურო მიმოხილვა.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიები წარუდგენენ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ ვადებზე, სათანადო რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის კონიუნქტურის მიმოხილვებსა და შეფასებებს.

ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების საგეგმო-ეკონომიური სამმართველოები, ხოლო, უკეთუ ეს სამმართველოები არ არსებობს, უშუალოდ თვით სახალხო კომისარიატები წარადგენენ იმავე ვადებზე სათანადო რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საკონიუნქტურო მიმოხილვებს.

ა/კსფსრ სხვა უწყება, დაწესებულება და დიდი სახელმწიფო სამრეწველო, სავაჭრო და საკრედიტო საწარმო და ა/კსფსრ ტერიტორიაზე მყოფი საერთო-საკავშირო დაწესებულება და საწარმო—ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონიუნქტურო საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული სიის მიხედვით—აგრეთვე კოოპერატიული შენაერთი წარადგენს იმავე მასალებს, რაც ახასიათებს სახალხო მეურნეობის სათანადო დარგის კონიუნქტურას.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატები, უწყებები და ორგანიზაციები წარუდგენენ უწყებული დარგის მიმოხილვას სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და მიმოხილვის ასლს—აკსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ამ უკანასკნელთა მიერ ურთიერთთან შეთანხმებით დადგენილ ვადებზე.

6. დაევალოს ა/კსფსრ უწყებებს შეჰკრიფონ ხოლმე სტატისტიკური საკონიუნქტურო ცნობები მათი ქვემდებარე მუშაობის დარგების შესახებ, რისთვისაც წინასწარ შეუთანხმონ ამ ცნობების შეკრეფის გეგმები და პროგრამები ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონიუნქტურო საბჭოს და ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

7. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა:

ა) ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის კონიუნქტურის ძირითად მაჩვენებელთა შეკრეფა და დამუშავება შეტანილ იქნეს ა/კსფსრ სტატისტიკურ სამუშაოთა გეგმაში, რაც დამტკიცდება დადგენილი წესისამებრ;

ბ) ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამუშაოთათვის საჭირო დამატებითი მაჩვენებელნი დადგენილ იქნეს ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის შეთანხმებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ივლისის 25. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 16 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(სამრეწვ. და სასურს. საქონლის სამმართველო).

1929 წ. ივლისის 25.

123. სალანჩე გამოჭრილი ტყავის ცალობითი საეტიკეტო ფასების დაწესების შესახებ.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი პრეისკურანტი მაქსიმალურ-უკიდურესი ცალობითი (საეტიკეტო) ფასებისა სალანჩე ტყავზე, რაც გამოჭრილი იქნება სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატის მიერ, და ცალკეული სახის წყვილეულებზე, როგორიც არის: ლანჩა, საძირე, საქუსლე, ქუსლის მხარე და საფენი, ცალობით მოვაჭრე სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, აგრეთვე სახელმწიფო კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებებს უფლება არა აქვთ ამ ფასებზე ძვირად გაჰყიდონ მთლად კავშირის ტერიტორიაზე:

გამოჭრილი საქონლის სახე	№№ წონა ჯგუფ.	წონა გრამ-მებად	წყვილის ფასი კაპიკობით			
			1 ხარ.	2 ხარ.	3 ხარ.	4 ხარ.
ლანჩა	1	186—235	81	73	58	52
	2	236—285	101	91	72	65
	3	286—335	120	108	86	77
	4	336—385	140	120	100	90
	5	386—435	159	143	114	103
საძირე	1	120—150	52	47	37	33
	2	151—180	64	58	46	41
	3	181—210	75	67	54	49
	4	211—240	87	78	62	56
	5	241—270	99	89	61	64
საქუსლე	1	41—70	21	19	15	13
	2	71—100	33	30	24	22
	3	101—130	45	40	32	29
საფენი	1	101—125	—	—	31	28
	2	126—150	—	—	38	34
	3	151—175	—	—	45	40
	4	176—200	—	—	53	48
ქუსლის მხარე	1	101—125	—	—	31	28
	2	126—150	—	—	38	34
	3	151—175	—	—	45	40
	4	176—200	—	—	53	48

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ა) პირველ ხარისხს ეკუთვნის ისეთი გამოჭრილი წყვილი, რომელიც ამოღებულია ზურგის ტყავის ნაწილიდან, მკვრივი (არადუნე). პირველი ხარისხის საქონელს შეიძლება ჰქონდეს შემდეგი მანკი: 1) ზედაპირის უმნიშვნელო დაზიანება, უკეთუ ეს ზიანი დერმას არ შეჰხებია; 2) გამთელებული ნარქენი და მცირე სიღრმის ნაყვავილარი არა უმეტეს 4-სა თითო გამოჭრილ წყვილზე; 3) მცირე სიღრმის ჭრილი ბახტორმაზე (არა უმეტეს ტყავის სისქის $^1/_4$-სა) რაოდენობით არა უმეტეს 2-სა თითო გამოჭრილ წყვილზე.

ბ) მეორე ხარისხს ეკუთვნის ისეთი წყვილი, რომელიც ამოჭრილია ზურგის ტყავის ნაწილიდან. მე-2 ხარისხის საქონელს შეიძლება ჰქონდეს შემდეგი მანკი: 1) გამთელებული ნარქენი და ნაფხაჭნი ზედაპირზე და სხვა დაზიანება არა უმეტეს 5-სა თითო წყვილზე, ან გამთელებული ნადალი, რომელსაც უჭირავს არა უმეტეს თითო წყვილის ფართობის 20%-სა; 2) ისეთი წყვილი, რომლის ნაპირების სისქე თანასწორი არ არის,

გ) მე-3 ხარისხს ეკუთვნის ისეთი წყვილი, რომელიც ამოჭრილია ზურგის ტყავის დუნე ნაწილიდან, ან რომელსაც აქვს მე-2 ხარისხის საქონელზე უფრო მეტი მანკი ზედაპირზე, რაც დერმას არ ეხება, ან ნადალი თითო წყვილის ფართობის 20%-ზე მეტი სივრცისა, ანდა მცირე სიღრმის ჭრილი, აგრეთვე ღრმა ჭრილი არა უმეტეს სამისა თითო გამოჭრილ წყვილზე. მე-3 ხარისხს ეკუთვნის აგრეთვე კარგად გამოყვანილი კისრის ტყავის ნაწილიდან ამოჭრილი წყვილი შემდეგი მანკით: 1) უმნიშვნელო დაზიანება ზედაპირზე, უკეთუ დერმას არ შეჰხებია, არა უმეტეს 2-სა თითო გამოჭრილ წყვილზე (არა უმეტეს ტყავის სისქის $^1/_4$-სა) და გამთელებული ნარქენი და ნაყვავილარი არა უმეტეს 4-სა თითო გამოჭრილ წყვილზე.

დ) მე-4 ხარისხს ეკუთვნის კისრის ტყავიდან ამოჭრილი წყვილი, რომელსაც უფრო მეტი მანკი აქვს ზედაპირზე, ვიდრე მე-3 ხარისხის საქონელს, ხოლო უკეთუ ეს მანკი დერმას არ ეხება, მცირე სიღრმის ჭრილი ან ღრმა ჭრილი არა უმეტეს 3-სა თითო გამოჭრილ წყვილზე. მე-4 ხარისხს ეკუთვნის აგრეთვე ისეთი წყვილი, რომელიც ამოჭრილია ნაპირებიდან უმანკიერო ან მე-3 ხარისხისათვის მიღებული მანკით.

2. დაწესებულ იქნეს ზემოაღნიშნული ფასების შემდეგი მონაკლები, რასაც ტყავის სინდიკატი დაუთმობს მოვაჭრე ორგანიზაციებს გამოჭრილი სალანჩე ტყავის გაყიდვის დროს ფრანკო—დანიშნულების სადგური:

ა) საკავშირო, რესპუბლიკანური, სამხარეო და საოლქო მასშტაბის ცენტრალურ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს:

	სატრანზიტო გაყიდვით (საშ. 14,52 პროც.)	ბეღლ. გამოჭ. ლანჩის პროც. წარმართოდ	საწყობში გაყიდვით (საშ. 13,56 პროც.)
1. იმ ქალაქებსა და სოფლებში რეალიზაციისათვის, რომლებიც რკინისგზისა და წყალსავალი გზის გვერდზეა	13%	48	12,1%
2. იმ ქალაქებსა და სოფლებში რეალიზაციისათვის, რომლებიც დაშორებულ არიან რკინისგზებსა და წყალსავალ გზებს	15,3%	40	14,4%
3. იმ ქალაქებსა და სოფლებში რეალიზაციისათვის, რომლებიც დაშორებულ არიან რკ. გზ. და წყალსავალ გზებს ცალკეულ რაიონებში (კავშირის საზიო ნაწ. და ჩრდილო-ევრ. ნაწ.)	18%	12	16,6%
ბ) სხვა ორგანიზაციებს	(საშ. 14%)		(საშ. 13,02%)
1. იმ ქალაქებსა და სოფლებში რეალიზაციისათვის, რომლებიც რკინ.-გზ. და წყალსავალი გზის გვერდზეა	12,5%	48	11,4%
2. იმ ქალაქებსა და სოფლებში რეალიზაციისათვის, რომლებიც დაშორებულ არიან რკ. გზ. და წყალსავალ გზებს	14,8%	40	14%
3. იმ ქალაქებსა და სოფლებში რეალიზაციისათვის, რომლებიც დაშორებულ არიან რკ. გზ. და წყალსავალ გზებს ცალკეულ რაიონებში	17,1%	12	16,2%

3. სატრანზიტო გაყიდვისათვის გასაცემი გამოჭრილი ლანჩის მინიმალური თანხა დაწესებულ იქნეს 2.000 მან. რაოდენობით.

4. გამოჭრილი სალანჩე საქონლის თვითეულ წყვილს უნდა ჰქონდეს შემდეგი ცნობების შემცველი დაღი:

ა) უწყებული წყვილის სახელწოდება;

ბ) უწყებული წყვილის წონითი ჯგუფის ნომერი პრეისკურანტით;

გ) უწყებული წყვილის ხარისხი;

დ) ცალობითი უკიდურესი (საეტიკეტო) ფასი;

ე) იმ სახელოსნოს სახელწოდება, სადაც სწარმოებდა გამოჭრა (მაგალ.: 4 გრამიანი ლანჩი 1 ხარისხისა, ფასი 1 მან. და 40 კაპ., ტყავის სინდიკატი, ოდესის სახელოსნო).

შენიშვნა. აღნიშნულ დაღს უნდა ეჭიროს არა ნაკლებ, ვიდრე იმ წყვილის ფართობის 3/4, რომელზედაც იგია დასმული.

5. დაწესებულ იქნეს, რომ, როდესაც ტყავის სინდიკატი გაითვალისწინებს თავის ვალდებულებებს მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის სალანჩე ტყავის ჩაბარების თაობაზე, მან ვარაუდში უნდა მიიღოს, რომ გამოჭრისათვის გადაცემული სალანჩე ტყავის ღირებულების თანხა განისაზღვრება ცალობითი (საეტიკეტო) ფასებით,—ამა დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მონაკლებისა და აგრეთვე ფრახტისა და გამოჭრის ხარჯის გამოკლებით; ამასთანავე, ფრახტის ღირებულება განისაზღვრება გამოჭრილი საქონლის საეტიკეტო ფასის 4,65

პროცენტისა, ხოლო გამოჭრის ხარჯის რაოდენობა—2,32 პროცენტის რაოდენობით.

6. ამა დადგენილების დარღვევისა და შეუსრულებლობისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სასამართლო წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი ქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო
კომისრის მოადგილე **გაჯინსკი.**

საადმ.-საორგანიზ. სამმართველოს
უფროსი **კაჩუხაშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 171 №-ში 1929 წ. ივლისის 30-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

124. ა/კსფსრ-ში ხანძარის წინააღმდეგ ბრძოლის საქმის დაყენების წესის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში ხანძარის წინააღმდეგ ბრძოლის საქმის დაყენებისათვის ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის გაწევა დაეკისროს აღნიშნული რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს—კუთვნილებისამებრ.

2. ხანძარის წინააღმდეგ ბრძოლის საქმის გამგებლობა ადგილებზე დაეკისროს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებსა და აგრეთვე საგავარაკო, სათემო და სადაირო აღმასრულებელ კომიტეტებს.

3. საკუთარი სახანძარო ორგანოების მყოლ საერთო-საკავშირო და ფედერატიული მნიშვნელობის დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ ხანძარის სა-

წინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულების სფეროში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შეენარჩუნება საინსპექციო ზედამხედველობის უფლება.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებმა ერთი თვის ვადაზე თავიანთი კანონმდებლობა უნდა შეუთანხმონ ამა დადგენილებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. ივნისის 22. ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 1377 დაიბეჭდა 800.